ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №090503/10/100

ქ.თბილისი **11 სექტემბერი 2012 წ.**

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის მ/შ თამარ ვარდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ესაბი 2009“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის უფლებამოსილი პირის ფრიდონ გოგუას, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია - ოცხელის ქუჩა №24-ის და ლითონკონსტრუქციების მე-6 დასახლების სახლი №194-ის მიმდებარედ სატრანსპორტო კვანძზე ჩასასვლელი კიბეების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;
2.2. CPV კოდი 45233261.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 10347 (ათი ათას სამას ორმოცდაშვიდი) ლარს;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;
3.3. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი.

6. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1. სამუსაოს შესრულების ადგილი - ოცხელის ქუჩა №24-ის და ლითონკონსტრუქციების მე-6 დასახლების სახლი №194-ის მიმდებარედ;
6.2. სამუშაოები განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 30 სექტემბრამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2012 წლის 10 ოქტომბრამდე.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:
ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8.1
სს „ლიბერთი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 208204959

გამგებლის მ/შ
ბ. ბერიაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „ესაბი 2009"
მის. ქ.თბილისი, თემქა IV კვ. კ-4, ბ-19
სს „თი-ბი-სი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE14TB0658236020100004
კოდი TBCBGE22
საიდენტ. კოდი 200 272 490

დირექტორის უ/პ
ფ. გოგუა

ფორმა №2

ოცხელის ქუჩა №24 მიმდებარედ სატრანსპორტო კვანძზე ჩასასვლელი კიბის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთეული	რ-ბა	მასალა		ხელფასი		მ/მექანიზმები/ ტრანსპორტი		სულ
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	არსებულ კიბიდან დაზიანებული ბეტონის საფარის მოხსნა პნევმო ჩაქუჩით	მ2	25	2	50	7	175	0	0	225,00
2	კიბის მოსაწყობად ხის ყალიბის მოწყობა	გრ/მ	38	8	304	6,25	237,5	2	76	617,50
	მოწყობილ ყალიბში ბეტონის მ-200 ჩასხმა ხელით	მ3	7	95	665	100	700	20	140	1505,00
3	არსებული ბეტონის მოაჯირის დაზიანებული ნაწილების ამოვსება ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ2	12,5	8	100	8,75	109,38	0	0	209,38
4	განახლებული ბეტონის მოაჯირის შეფითხვა ცემენტის ხსნარით (ბრიზგი)	მ2	28	3	84	2,5	70	1,5	42	196,00
5	ტერიტორიის დასუფთავება და ნაგავის გატანა	მ3	1	0	0	50	50	50	50	100,00
										0,00
	ჯამი									2852,88
	ზედნადები ხარჯები	*10%*								285,29
	ჯამი									3138,16
	გეგმური დაგროვება	*8%*								251,05
	ჯამი									3389
	თანხა სიტყვიერად	*სამი ათას სამას ოთხმოცდაცხრა ლარი და 00 თეთრი*								

შ.პ.ს. "ესაბი 2009" დირექტორის უ/პ
ფრიდონ გოგუა

ESABI 2009

ფორმა №2

ლითონკონსტრუქციის *მე-6* დასახლების სახლი №194–ის მიმდებარედ სატრანსპორტო კვანძზე ჩასასვლელი კიბის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთეული	რ-ბა	მასალა		ხელფასი		მ/მექანიზმები/ ტრანსპორტი		სულ
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	მიწის მოჭრა და ტერიტორიის მომზადება კიბის მოსაწყობად	მ3	1,75	40	70	100	175	0	0	245,00
2	კიბის მოსაწყობად ხის ყალიბის მოწყობა	გრ/მ	80	8	640	6,25	500	1,2	96	1236,00
3	არმირების მოწყობა დ-10 არმატურით	მ2	37,5	16	600	12,5	468,75	1,2	45	1113,75
4	კიბის არმირებული ნაწილიში ბეტონის ჩასხმა ხელით და არსებული კიბის საფეხურების შევსება ბეტონით მ-200	მ3	9,5	95	902,5	100	950	20	190	2042,50
5	ლითონის მოაჯირის მოწყობა	გრ/მ	40	12	480	12,5	500	1,5	60	1040,00
6	ახალი და ძველი ლითონის მოაჯირის შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	გრ/მ	60	1,5	90	1,5	90	0	0	180,00
	ჯამი									5857,25
	ზედნადები ხარჯები	*10%*								585,73
	ჯამი									6442,98
	გეგმური დაგროვება	*8%*								515,44
	ჯამი									6958
	თანხა სიტყვიერად	*ექვსი ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი*								

შ.პ.ს. "ესაბი 2009" დირექტორის უ/პ _____ _____

ფრიდონ გოგუა

ხელმოწერა

ფირიდონ

ESABI 2009